საქართველოს მთავრობის განკარგულება

N997 2016 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - იუსტიციის სახლს მიეცეს თანხმობა, მის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.03.003.024) ნულოვან სართულზე, შპს „ჯემედის“ საკუთრებაში არსებული ფართის (JUSTcafe) მომიჯნავედ მდებარე, 118.15 კვ.მ ფართი, აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადასცეს შპს „ჯემედს“, 4 (ოთხი) თვის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირით - 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით, JUSTcafe-ს საზაფხულო ტერასად გამოყენების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**